საიდ. №68914/03

IR 1125906

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №47-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ე. ქემაშვილი (თავმჯდომარე), ი. გიქორაშვილი, დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ფენიქს კონტაქტ გმბჰ & კო. კგ”-ს (Phoenix Contact GmbH & Co. KG) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №47-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 19 ნოემბრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ №2395/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „PHOENIX CONTACT” (საიდ. №68914/03 IR 1125906) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-3 და 37-ე კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 19 ნოემბრის №2395/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, განცხადებული ნიშანი "PHOENIX CONTACT" მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის „Unilever N.V." (Weena 455, NL-3013 AL Rotterdam) სახელზე რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული ნიშნისა „PHOENIX" (რეგისტრაციისა და გავრცელების თარიღი 16/04/1999წ., რეგისტრაციის №714454) მე-3 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაპირისპირებული ნიშნები შესრულებულია ლათინური ანბანით და განცხადებულ ნიშანში შემავალი სიტყვიერი აღნიშვნა „PHOENIX" აღრევამდე მსგავსია დაპირისპირებული ნიშნისა „PHOENIX". მართალია, განცხადებულ ნიშანს დამატებით აქვს სიტყვიერი ჩანაწერი „CONTACT" მაგრამ მას არ აქვს საკმაო განმასხვავებელუნარიანობა. განცხადებული ნიშანი ასევე მსგავსია შპს „ფენიქსის (ალ. ყაზბეგის გამზ. 12ა) სახელზე საქპატენტში რეგისტრირებული ნიშნისა „Pf PHOENIX ფენიქსი" (რეგისტრაციის თარიღი: 12/07/2007 რეგისტრაციის №17656) 37-ე კლასის მომსახურების მიმართ, რომელიც შესრულებულია ლათინური და ქართული ასოებით. მოცემულ შემთხვევაშიც განცხადებულ ნიშანში არსებული დამატებითი სიტყვიერი ჩანაწერი „CONTACT" ვერ ანიჭებს ნიშნებს საკმაო განმასხვავებელუნარიანობას, აღნიშნული კი ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. რის გამოც, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად ნაწილობრივ უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე მე-3 და 37-ე კლასების ნაწილში საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვლისათვის.

აპელანტი კომპანია „ფენიქს კონტაქტ გმბჰ & კო. კგ" არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, მსგავსების დადგენისას შესადარი ნიშნები უნდა განხილულ იქნენ მთლიანობაში, ნიშნის შემადგენელი ცალკეული ელემენტების გამოყოფის გარეშე. „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის

თანახმად უარის სათქმელად ადგილი უნდა ჰქონდეს, ყველა შემდეგ გარემოებას:

1. თვით ნიშნები უნდა იყვნენ აღრევამდე მსგავსნი;
2. საქონელი უნდა იყოს აღრევამდე მსგავსი;
3. უნდა არსებობდეს შესაძლებლობა მომხმარებლის შეცდომაში შეყვანისა.

ამასთან გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირველ მხედველობით შთაბეჭდილებას, რომელიც იქმნება აღნიშვნების მიერ. ნებისმიერი ობიექტის სახელდობრ პირველი მხედველობითი შთაბეჭდილება ახდენს გავლენას ადამიანის აღქმაზე. ამასთან, მას როგორც წესი ამახსოვრდება სახასიათო გამოსარჩევი ელემენტები, როგორიც შეიძლება იყოს სპეციალური გრაფიკა ან სახასიათო ხელწერა თუნდაც ერთი ასოს დაწერისა, ფერი ან ფერთა გამა, შრიფტი, ასოთა განლაგება ერთიმეორის მიმართ და სხვა. აპელანტის პოზიციით, არ შეიძლება უარის თქმის საფუძვლად იმის მიჩნევა, რომ დაპირისპირებული ნიშანი არის ელემენტი განცხადებულ ნიშანში, ან ნიშნებს გააჩნიათ საერთო ელემენტი. განცხადებული და ექსპერტიზის მიერ დაპირისპირებული ნიშნები ვიზუალურად სრულიად სხვადასხვანი არიან. აპელანტის განმარტებით, ფონეტიკურ განსხვავებას რაც შეეხება, ორივე ნიშანს აქვს განსხვავებული ჟღერადობა. რაც შეეხება სემანტიკურ მსგავსებას, დაპირისპირებულ ნიშნებს გააჩნიათ მნიშვნელობა, კერძოდ ნიშანი არ შეიცავს მხოლოდ ფრინველი ფენიქსის მნიშვნელობას (რასაც საქონელთან არავითარი კავშირი არა აქვს), განცხადებულ ნიშანში არის სიტყვა კონტაქტიც, რომელსაც განცხადებულ საქონელთან საკმაოდ ასოცირებული მნიშვნელობა გააჩნია. ამდენად, ნიშნები აღრევამდე მსგავსნი არ არიან. გარდა ამისა, მე–3 კლასში დაპირისპირებული ნიშნის საქონელი მართალია იგივე კლასშია, მაგრამ არის ადამიანის მოხმარებისთვის დანიშნული პარფიუმერია და ა.შ., განცხადებული ნიშნით ნიშანდებული საქონელი კი მხოლოდ პრინტერებისა და ავტოკალმების საწმენდი საშუალებებია, ანუ სრულიად განსხვავებული საქონელია, რომელთა აღრევა შეუძლებელია. აპელანტის მითითებით, 37–ე კლასში დაპირისპირებული ნიშნის მფლობელს რეგისტრირებული აქვს ისეთ მომსახურება, რომლებიც მშენებლობას ეხება, განცხადებული ნიშნის რეგისტრაცია კი მოთხოვება მომსახურების ვიწრო სფეროში, კერძოდ იმ მომსახურების მიმართ, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ ელექტრონიკის აპარატურის ინსტალაციასთან. ამდენად მომსახურება იმდენად განსხვავებულია,

რომ აღრევა შეუძლებელია. აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული საერთაშორისო ნიშნის IR 714454 რეგისტრაცია ძალაშია აზერბაიჯანში, კირგიზსტანში, კაზახსტანში, ლიბერიაში, რუსეთის ფედერაციაში, ტაჯიკეთში, თურქმენეთსა და უზბეკეთში, ამ ქვეყნების საპატენტო უწყებებს ეჭვი არ შეუტანიათ მსგავსებაში და უპრობლემოდ დაარეგისტრირეს განცხადებული ნიშანი IR 1125906. აპელანტის პოზიციით, არ არსებობს საკმარისი საფუძველი იმისა, რომ განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები აღრევამდე მსგავსად იქნეს მიჩნეული. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 19 ნოემბრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე საქონლისა და მომსახურების განცხადებული ჩამონათვალის ნაწილის მიმართ №2395/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „PHOENIX CONTACT" (საიდ. №68914/03 IR 1125906) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა".

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „PHOENIX CONTACT" (საიდ. №68915/03 IR 1125907) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები „PHOENIX" (IR 714454), „Pf PHOENIX ფენიქსი" (რეგ. №17656) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით.

განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, რადგან როგორც განცხადებული სასაქონლო ნიშანი „PHOENIX CONTACT” ისე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „PHOENIX” შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით. განცხადებული სასაქონლო ნიშანი მთლიანად შეიცავს დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს. ხოლო განცხადებულ ნიშანში დამატებით ერთი სიტყვის „CONTACT” არსებობა ვერ სძენს განცხადებულ ნიშანს იმ დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლისათვის ჟღერს, როგორც „ფენიქს კონტაქტი”, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც „ფენიქს”. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი მსგავსია სემანტიკურად, რადგან შინაარსობრივად ორივე სასაქონლო ნიშანი უკავშირდება ბერძნულ მითოლოგიაში გავრცელებულ ფრინველს „ფენიქსს”. ამასთან გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ განცხადებული ნიშანი მართალია ორ სიტყვიანია, მაგრამ ნიშნის პირველი სიტვა არის „PHOENIX”, შესაბამისად მომხმარებელი, როგორც წესი უკეთესად აღიქვამს და იმახსოვრებს ნიშნის პირველ სიტყვას და ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს მის შემდოგ სიტყვას. მსგავსია ასევე განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მე-3 კლასის საქონლის ჩამონათვალიც, რადგან ორივე ნიშნის პროდუქცია უკავშირდება საწმენდ საშუალებებს. რაც შეეხება მეორე განცხადებული სასაქონლო ნიშნის მსგავსებას მეორე დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანთან „Pf PHOENIX ფენიქსი“, აღნიშნული ნიშნები ასევე, წარმოადგენენ აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალურად ასევე ფონეტიკური და სემანტიკური თვალსაზრისით. განცხადბული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, რადგან ორივე სასაქონლო ნიშანი შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი ჟღერს, როგორც

„ფენიქს კონტაქტი”, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი ჟღერს, როგორც „პი ეფ ფენიქსი”. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია სემანტიკურად, რადგან ორივე სასაქონლო ნიშანი უკავშირდება ბერძნულ მითოლოგიაში ცნობილ ფრინველ „ფენიქსს”. ამასთან, როგორც განცხადებულ ისე დაპირისპრებულ სასაქონლო ნიშანში ძირითადი დატვირთვა მოდის სიტყვაზე „PHOENIX”, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა საქონლის მწარმოებლის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „PHOENIX CONTACT” (საიდ. №68914/03 IR 1125906) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ფენიქს კონტაქტ გმბჰ & კო. კგ”-ს (Phoenix Contact GmbH & Co. KG) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 19 ნოემბრის №2395/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის

დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:	ე. ქემაშვილი
წევრები:	დ. ჭიჭინაძე
	ი. გიქორაშვილი